სახალხო გაზეთი

№ 566 ხუთშაბათი, 5 აპრილი, 1912 წ. № 566

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართულ „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. **დამატებიანი 7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

|სურათებიანი დამატება|

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

| აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს **6 მ. 75 კ.**

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს რომ ხუთშაბათს, 5 აპრილს, ცნობილი

ქართველი მგოსნის ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანის

დაბადებიდან ასის წლის თავზე, სიონის ტაძარში, სადაც დაკრძალულია, ნაშუადღევის 1 საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.
(2—1188—2)

გულმოკლული დედა ეკატერინე, მეუღლე მარიამი, ძმები: გიგო, დათიკო, იოსები და სონა, რძალი ბარბარე ქვლივიძენი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სარატოვის კატორღის ციხეში გარდაიცვალა 13 მარტს (შევიტყვეთ მხოლოდ 31 მარტს მისის ამხანაგისაგან)

ილია |ზაქარია| ივანეს ძე ქვლივიძე.

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად დანიშნულია კალოუბნის ეკლესიაში, წირვის შემდეგ ხუთშაბათს, 5 აპრილს. წირვა დაიწყება 9 საათზე. კობის ქუჩა № 8. (1.342.1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ-რო (ქირურ-გიული).	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობია-რო, ქალ. სნეულე-ბანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშ-ვების ავად-მყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ-ების ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—308)

შეიძლება დაკვეთა: **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.
წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსნიევის ქ., № 7). **ქუთაისში—ბ. ოცხელთან; სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან; სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის): Тифлисъ, Коргановская № 20, собств. д. Д-ру Мих. Гедевани. (3—1153—3)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ ვადა „გრდემლის" მე-II წიგნისთვის მასალების წარმოდგენისა, თანახმად ზოგიერთ მწერლების მიერ გამოთქმულ სურვილისა, გაგრძელებულია 30 აპრილამდე.
მისამართი მასალების გამოსაგზავნად: **ტფილისი, ოლგის შესახვევი № 5, გ. ს. რცხილაძეს.** (6.1185.2)

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.
ხუთშაბათს, 5 აპრილს.

|გ. სუნდუკიანცის ხსოვნის პატივსაცემლად|

სახ. სახ. არს. წარ. მმართ. წრის მიერ **ვ. გამყრელიძის** მონაწილეობით წარ. იქნება:
პეპო. 3 მოქმედებად გ. სუნდუკიანცისა. 2) **საღამოს ერთი ცხვირი ხეირია,** კომედია ერთ მოქმედებად მისივე.
მონაწილეობენ ქ-ნნი: ანტუანეტა, ბეჟანოვა, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, მ. ქართველიშვილი; ბ-ნნი: ანაშვილი, ნ. გოცირიძე, შ. ხონელი, ს. პეპანოვი, გამყრელიძე, გელიკურაშვილი, სალაყაია, რომანიშვილი და სხ. **დასაწყ. სალ. სწორედ 8 ს.** ადგილ. ფასი 5—50 კ. ბილ. იყიდ. თეატ. კასაში დილ. 12—2 ს. საღ. 8 ს. შემდეგი წარმოდგ. 10 აპრ.
(2.1174.2) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** ადმინისტრატორი **ს. ჯულელი.**

ტელეფ. № 795. ## ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

ხუთშაბათს, 5 აპრილს, 1912 წ. **ტასო და ვასო აბაშიძეების** მონაწილეობით ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I. **პირველი ბუზი** კომ. 3 მოქ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ. ◆ II. **უბედური დებიუტი** ვოდევილი 1 მოქ. ახოსპირელის თარგმ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი აბაშიძე ტასო, ვიქტორელი, კარგარეთელი, ქილარჯიშვილი, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი აბაშიძე, იმნაელი, გუნია, მესხი, მგალობლიშვილი.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
(1—1146—1) რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის",

25 ცალი 15 კ. ‖ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები"

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.
(100.1036.11)

ვინაც არა ჰსურს მოტყუვდეს,

ჩვენი პაპიროსების ყიდვის დროს,

აერო **ბოლო შეხვეული** 100 ც. 1 მ. 25 ც. 25 კ. 10 ცალი 10 კაპ. **და** 100 ცალი 60 კ. 25 ც. 15 კ. 10 ცალი 6 კაპ. **ბოლო ღია**

შანტეკლერ **ბოლო შეხვეული** 25 ც. 50 კ. 25 ც. 30 კ.

ყურადღება უნდა მიაქციოს საქარხნო მარკას და ჩვენს ფირმას, რომ ყალბი პაპიროსები არ მიიღონ, ტფილისში ცნობილ ჩვენი ქარხნის პაპიროსების მაგიერ.

სავაჭრო სახლი (არსებობს 1858 წლიდან)

ნ. ი. ბოზარჯიანცი შვილებით.

მისი იმპერ. უდიდ. დიდი მთავრის
ნიკოლოზ მიხეილის ძის
იჯარადარნი.

(5.1175.3)

სავაჭრო სახლი ე. ი. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანის

წვრილად გასაყიდ განყოფილებაში

გოლოვინის პროსპექტი, სახლი ოქოევისა № 34.

კვირაცხოვლობის კვირაში **ფომინობას**

2 აპრილიდან 7 აპრილამდე დანიშნულია დიდი ვაჭრობა, საზღაპროდ იაფ-ფასად გაიყიდება მოდური სასამკაულო საქონელი:

მზა-მზარეული თეთრეული ქალებისა და კაცებისა, ქოლგები, შეკერილი კოფთები აბრეშუმისა და კრუჟევისა, აბრეშუმის იუბკები, ჩულქეულობა, მამაკაცებისა და ბავშვების ყველანაირი ქუდები, კრახმლის პერანგები, გალსტუხები და აუარებელი სხვა ახალ-ახალი საქონელი.

ყველა საქონელს გადაჭრილი უკანასკნელი ფასები ზედ აწერია. (5.537.5)

აგენტი ი. მ. მიქელაიშვილი

იღებს ხელის-მოწერას როგორც ადგილობრივ ისე სხვა ქალ. ჟურნალ-გაზეთობაზე, აგრეთვე სასტამბო საქმეებს; არის აგენტად განცხადებათა შესაკრებად სააქციონ. საზ. „ანონსი"-სა, რკინ. გზ. და სანავოსნო სადგურებზე და ტრამვაიებში პლაკატების გასაკრავად. პირადად იღებს ყოველ დღე, დილ. 8—9 ს. ადრესი: მიხეილ. პრ. № 5. (5.1172.5)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—24).

ექიმი კბილისა **არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.8)

დღეს, ხუთშაბათს 5 აპრილს და ხვალ 6 აპრილს

არტისტიულ საზოგადოების დარბაზში სახელმწიფო სათათბიროს წევრი

პავლე ნიკოლოზის ძე მილიუკოვი

წაიკითხავს ლექციას შემდეგის პროგრამით:

დღეს: **ერი და რასა.** ხვალ: **ერი და სახელმწიფო.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები იყიდება არტისტ. საზოგ. მეკარესთან დილის 10—2 საათ. და 6—8 საათ. (2—348—1)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ გაიხსნა ახალ პატრონთა ხელში გადასული

კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ. ◆ 1—5 ს. ◆ 5—2 ს

საუზმე—30 კ. ◆ **სადილი.** ◆ **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო ხაჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვაძლევთ თვიურად, დიდის შეღავათით.
(თ.—113—22)

გამგეობა ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა, ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ მორიგი ჩვეულებრივი **წევრთა** საზოგადო

წლიური კრება

ბანკისა დანიშნულია (ნაცვლად 1 აპრილის კრებისა, რომელიც გადადებულ იქმნა) **25 ამა აპრილს,** ყვირილის საკრებულო დარბაზში **დილ. 10 ს. განსახილველი საგნებია:** 1. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1911 წ. ანგარიშის შესახებ. 2, მოხსენება საბჭოსი, ბანკის მდგომარეობის შესახებ. 3. მოხსენება გამგეობისა, ა) მ. გაჩეჩილაძის საბეჭდავი მანქანის შესახებ. ბ) განმარტება სამინისტროს კანცელარიისა წიგნებისა და შნურკას შესახებ. გ) წესდების მე-5 და 66 პარაგრაფ. შეცვლის შესახებ. დ) საკუთარი შენობის შეძენის შესახებ. ე) მოსამსახურეთა მომატების შესახებ და ვ) მოულოდნელი ხარჯების შესახებ. 4) დამტკიცება **1911 წ.** ანგარიშისა. 5) დამტკიცება **1912 წ.** ხარჯთაღრიცხვისა. 6. არჩევნები: ორი საბჭოს წევრისა, ნაცვლად რიგით გასულ, თ. ნანეიშვილისა და მელ. გაჩეჩილაძისა, ერთის გამგეობის წევრის ნაცვლად ილია მაღლაკელიძისა, რომელსაც კენჭით ხვდა გასვლა, არჩევა სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათი კანდიდატებისა, აგრეთვე განცხადება გამგეობის თავმჯდომარის ტ. ნიორაძისა, სამსახურზე თავის დანებებისა და არჩევა სამაგიერო გამგეობის წევრისა. (3.1173.1

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი"

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.48)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—192)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 273)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. მოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"

(წლ.—1018—243)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

შპალიერი
ძმ. ტარნოპოლთა
ქარხნისა.
ტფილისის განყოფილება.
იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., ტელეფ. № 355.
საწყობში ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც
საქარხნო ფასებში იყიდება,
თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.
შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.6)

გამოცდილი
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. მიღება პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც პანსიონში.
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памяти Воронцову).
(თ. 1084.129)

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიქანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1782. (თ. 1591 137)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. (25—1178—7)

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.84)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
პროფ. სუბბოტინი. ქირურგ. ავად ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერით.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
ვ ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.
მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.
კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.
ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.
რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.
ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. 10—1 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით · (თ. 1032—71).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ,—1049—63)

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—133).

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—69.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტს, რომელსაც დღეს არჩევს ინგლისის პარლამენტი, მთელი პროგრესიული კაცობრიობა სიამოვნებით ეგებება. რუსეთის გაზეთებიც აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ მომენტს და ამბობენ, ირლანდიისთვის დგება ახალი ხანა თავისუფალ განვითარებისათ. აი, რასა სწერს, მაგალითად, „რუსკოე სლოვო“:

> „ინგლისს შეგვიძლიან მივულოცოთ, რომ გადასდგა კიდევ ერთი ნაბიჯი სამართლიანობისკენ. ასკვიტის მიერ პარლამენტში შეტანილი კანონ-პროექტი ირლანდიის ავტონომიის შესახებ უეჭველია მალე კანონად იქცევა... წინანდელი შიში ირლანდიის სეპარატიზმის შესახებ ინგლისელთა შორის სრულიად გაქრა. მაგრამ ამისთვის მრავალი მაგალითი იყო საჭირო, კანადასა და სამხრეთ აფრიკის ახალშენებს ავტონომია მიანიჭეს, და ამან ფრანგები და ბურები ინგლისის მხურვალე პატრიოტებად გადააქცია. ახალი ზელანდია და ავსტრალია ფაქტიურად თითქმის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად იქცა, მაგრამ სამაგიეროდ იგივე ახალ-შენები ინგლისელთა ინტერესების საუკეთესო დამცველებად გადაიქცა მშვიდ ოკეანეზე“.

ამის შემდეგ, „რუსკოე სლოვო“ ეხება ასკვიტის კანონ-პროექტს და დასძენს, იგი თავისი სამართლიანობით ბევრად ჩამოუვარდება გლადსტონის პროექტს, რომელიც ირლანდიელებს მეტს უფლებას ანიჭებდა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პანაშვიდი ვახტანგ ორბელიანის სულის მოსახსენებლად.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის თაოსნობით დღეს, 5 აპრილს, ქართველ მგოსნის ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანის დაბადებიდან ასის წლის თავზე, **სიონის ტაძარში**, ნაშუადღევის პირველ საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

◆ **გუბერნატორმა ნება დართო** დედათა მესამე გიმნაზიის მშობელთა წრეს, 8 აპრილს საარტისტო საზოგადოების საზაფხულო შენობაში სეირნობა გამართოს ხსენებულ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სწავლის ფულის გადასახდელად.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა ქალაქის გამგეობის მეორე განყოფილებას დაავალა, მომავალ ორშაბათისთვის შეადგინოს ქალაქის სპეციალურ თანხების მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და ზედ დაურთოს ყოველგვარი საჭირო განმარტება.

◆ **ლოტო.** გუბერნატორს ცნობა მიუღია, რომ ტფილისის ზოგიერთს კლუბში ლოტოს შესახებ გამოცემულს სავალდებულო დადგენილებას არღვევენო, ამიტომ გუბერნატორმა პოლიცმეისტერს დაავალა, გამოუცხადოს კლუბების მამასახლისებს, დადგენილებათა დარღვევა აღარ განმეორდეს.

◆ **ქალაქის იურისკონსულტის თანამდებობაზე** ბორჩალოს მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფ ა. ა. სურკოვის კანდიდატურას ასახელებენ. ამ ადგილს ჯერ-ჯერობით 10 კაცი თხოულობს.

◆ **ყასბათა თავგასულობას** საზღვარი აღარა აქვს. ნიხრს არც წინად ემორჩილებოდნენ, მაგრამ ამ ჟამად მათმა თავხედობამ ყოველს მოლოდინს გადააჭარბა. ან სულ არ გამოგიჩენენ რიგიან ხორცს და ან 20—25 კაპ. გადაგახდევინებენ გირვანქაში. ქალაქის გამგეობამ სავაჭრო პოლიციის აგენტებს დაავალა, სასტიკი ყურადღება მიაქციონ ყასბებს.

◆ **ექსკურსია.** ამ ზაფხულს ტფილისის დასათვალიერებლად ჩამოვლენ ეისკის რეალურ სასწავლებლის მოსწავლენი, რიცხვით 20 კაცი.

◆ **წალკის წყალსადენის გამოყვანის** თაობაზე ქალაქის გამგეობამ მოლაპარაკება გამართა ანტვერპენის ბანკის წარმომადგენელ ა. გ. ჯაბადართან და მოკლე ხანში დაწვრილებითი პირობების შემუშავებასაც შეუდგება.

◆ **ი. წერეთლის საქმე.** „რუსკოე სლოვოს“ პარიზიდან ატყობინებენ, ვ. ბურცევის გაზეთ „ბუდუშჩეე“-ში დაბეჭდილი ყოფილა მეორე სათათბიროს იმ სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, რომელზედაც სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის სამხედრო შეთქმულობის საქმე გაარჩიეს. ანგარიში დაუბეჭდიათ „როსიას“ ცნობის გამო, რომელიც ამბობდა, სათათბიროს წევრი კატორგაში გაგზავნილი ირაკლი წერეთელი გამოტყდა სხდომაზე, რომ ფრაქცია მონაწილეობდა შეთქმულებაშიო. სტენოგრაფით მტკიცდება, რომ ი. წერეთელს ამის მსგავსი არა უთქვამს.

◆ **ქალაქის განათება ელექტრონით.** როგორც მკითხველებმა იციან, ჟიროს ფირმის წარმომადგენელი ქალაქის განათებას კისრულობს, საჰიდრავლიკო სადგურის აშენებას მდინარე არაგვზე აპირობს. ამ წინადადებას დღეს ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისია განიხილავს, ხოლო ერთი-ორის კვირის შემდეგ განიხილავს შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს სატეხნიკო, საფინანსო და საიურიდიო კომისიებისა. ჟიროს ფირმა, სხვათა შორის, ქალაქის ცენტრალურ საელექტრონო სადგურის გამოსყიდვასაც (600,000 მანეთად). აპირობს.

◆ **კალიასთან ბრძოლა.** განჯისა, ერევნისა და ბაქოს გუბერნიებში კალიასთან ბრძოლის გეგმა კავკასიის ნამესტნიკმა უკვე დაამტკიცა. ხარჯი ნავარაუდევია 118,989 მან.

◆ **ტფ. უნივერსიტეტი.** ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიამ დაადგინა, მადლობა გადაუხადოს ბაქოს საზოგადო საკრებულოს, რომელმაც ტფილისის უნივერსიტეტს ყოველწლიურად ასი თუმანი აღუთქვა.

◆ **გადასახლებული.** 3 აპრილს ოლღას ქუჩაზე შეიპყრეს გორის მაზრის სოფელ ხიდისთავის მცხოვრები ივანე ანდრიას ძე გელიტაშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ რედაქციამ მიიღო დაბეჭდილი ანგარიში **„ჭიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების“** მოღვაწეობისა 1911 წელს. საანგარიშო წელს ჭიათურაში დაუდგამთ სულ 45 წარმოდგენა. ბილეთებისა შემოსულა სულ 8610 მანეთი. როგორც ანგარიშიდანა სჩანს ჭიათურის დრამ. საზოგადოებას 1907 წელს გაუმართავს 30 წარმოდგენა, დასწრებია სულ 4083 კაცი. 1908 წ. გაუმართავთ 19 წარმოდგენა, დასწრებია 2954 სული. 1909 წელს გაუმართავთ 12 წარმოდგენა, დასწრებია 2431 სული; 1910 წელ გაუმართავთ 36 წარმოდგენა; დასწრებია 7218 სული.

◆ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გამო.** როგორც გავიგეთ, ტფ. ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს განუზრახავს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე თავისი კანდიდატურა წამოაყენოს ტფილისის გუბერნიიდან. ა, ი. ხატისოვს იმედი აქვს, რომ მას მხარს დაუჭერს ყველა ის ამომრჩეველი, რომელიც კადეტებზე უფრო მემარცხენე აღარ არის. იმ შემთხვევაში, თუ ბ-ნი ხატისოვი დეპუტატად იქნება არჩეული, ქალაქის მოურავობას არ დაჰკარგავს და თანახმად კანონისა ორივე ადგილს შეინარჩუნებს. იცხოვრებს კი პეტერბურგში.

◆ **ხმოსნი განცხადება.** ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ქსავერიევმა ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა, რომელშიაც სწერია: ჩერქეზიშვილის ქუჩას (ნაძალადევში) რკინის გზის მოსამსახურენი ყოველ-დილით ჰგვიან მოურწყველად, რის გამოც მტვერი დგება და გამვლელნი, განსაკუთრებით მოსწავლენი, დიდს გაჭირვებას იტანენ. დასასრულ ხმოსანი გამგეობას სთხოვს, შესაფერი განკარგულება მოახდინოს.

◆ ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისია დღეს **დიდხევის** უბანს დაათვალიერებს.

◆ **ქალაქის გამგეობამ** უარი უთხრა ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეებს, რომელნიც აპრილის ჯამაგირის ერთს მესამედს ახლავე თხოულობდნენ.

◆ **ქალაქის საბჭოს საბალნეოლოგიო კომისია** 8 მარტს დაათვალიერებს იმ რაიონს, სადაც აგებულ უნდა იქნას ქალაქის საბალნეოლოგიო სადგური.

◆ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი** პ. ნ. მილიუკოვი ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა და ორ ლექციის წაკითხვას აპირობს. პირველ ლექციას წაიკითხავს საარტისტო საზოგადოების დარბაზში.

◆ წარსულ მარტის განმავლობაში ტფილისში 113-ჯერ მოუხდენიათ ჩხრეკა - დაპატიმრება. შეუპყრიათ 886 უპასპორტო და 139 მათხოვარი.

◆ **მზის დაბნელება.** გუშინ მზის დაბნელება ტფილისში . დაიწყო ნაშუადღევის 3 საათზე. მზეს მარჯვენა მხრიდან შავი წერტილი (მთვარე) მიუახლოვდა და ნელ-ნელა გაიზარდა, ასე რომ მზის ნახევარ დისკო ერთის საათის განმავლობაში სულ დაჰფარა.

◆ **პ. ნ. მილიუკოვის ლექცია.** დღეს სახ. სათათბიროს წევრი, კადეტთა ფრაქციის მეთაური პ. ნ. მილიუკოვი წაიკითხავს ლექციას ამ თემაზე: ერი და რასა; ხვალ იგივე ლექტორი წაიკითხავს მეორე ლექციას: ერი და სახელმწიფო. ორივე ლექცია წაკითხული იქნება არტისტიულ საზოგადოების დარბაზში.

◆ **ბოქაულები:** მერვე უბნისა ზინევიჩი და მეექვსე უბნისა კისელზაგარიანსკი ერთი მეორის ადგილას იქმნენ გადაყვანილნი.

◆ უკვალოდ დაიკარგა არშაკ სარქისოვი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისია** დღევანდელს კრებაზე თავის მომავალ მოქმედების ინსტრუქციას შეიმუშავებს.

◆ **სამკურნალო საზოგადოების** მორიგი კრება 3 აპრილს მოხდა. წარსულ კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ პროფესორმა მ. ს. სუბბოტინმა დამსწრეთ უჩვენა თავის მიერ გამოგონილი მანქანა ბუასილიანთათვის ოპერაციის გასაკეთებლად. მანქანა ბ-ნ სუბბოტინის სიტყვით მეტად პრაქტიკულია და ოპერაციის დროს ნაკლებს ტკივილს აგრძნობინებს ავადმყოფებს. მოხსენება წაიკითხა ლ. მ. მონინმა, რომელსაც დაუთვალიერებია სატახტო ქალაქების საბებიო — საგინეკოლოგიო დაწესებულებანი და თავისი შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი მოხსენებაში აუწერია.

სასამართლო

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** თელავს გაემგზავრა სისხლის სამართლის საქმეთა გასარჩევად.

◆ **ტფ. სასულიერო სემინარიის ეკონომ დროზდოვზე იარაღით თავდაცემის საქმე** ტფ. ოლქის სასამართლოში გადავიდა. ამ საქმის გამო სამართალში მიცემულია სემი-

ძველი თაობის საფლავის ქვა.

აი, კიდევ ერთი საფლავის ქვა. იგი ჩვეულებრივია, დიდ ვერაფრად არის შემკული და სხვებში არ გამორჩეულა. საფლავის ქვას ზედ აწერია ჩვეულებისამებრ ის, რასაც ქართველი ყოველთვის წააწერს ხოლმე: „შენდობა გვიბრძანეთო“. ჩვენც, მკითხველო, გავსინჯოთ ამ ქვას ქვეშე განსვენებულ ადამიანის ცხოვრება და ღვაწლი, ყველაფერს მოკლედ გავეცნოთ და გადავსწყვიტოთ, მართლა მარტოოდენ შენდობის ღირსია გარდაცვალებული, თუ მეტისა.

აქ ქართველთა პოეტი ვახტანგ ორბელიანი ასაფლავია. წელს სწორედ ასი წელიწადი შესრულებულა ვახტანგის დაბადებიდან და ქართველობაც მოვალეა მოიგონოს და ღირსეულად სცეს პატივი.

ვახტანგ ორბელიანი მარტო არ ასაფლავია. იგი დამსრულებელი იყო ქართული ლიტერატურის ერთი ხანისა, მიმართულებისა და ორ თაობათა შუა მოჰხდომია დგომა. გარდა ამისა, იგი ტიპია საზოგადოებრივი და ეს საზოგადოებრივი ტიპი მას შემდეგ აღარ დაბადებულა, მხოლოდ მისი ამხანაგები თუ დარჩენილან. ტიპიც მასთან ასაფლავია. და სწორედ ყველა ამიტომ არის საინტერესო ვახტანგ ორბელიანის პოეზია და ცხოვრება.

ბიოგრაფია პოეტისა ვრცელი არ მოგვეპოება. მგონია, ერთად ერთი ნაშრომი ილია ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფიაა, ვახტ. ორბელიანის თხზულებაში მოქცეული.

ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი დაბადებულა 1812 წლის 5 აპრილს. მისი მამა სამხედრო სამსახურის კაცი ყოფილა, პოლკოვნიკი. ვახტანგის დედა თეკლე, ერეკლე მეფის უმცროსი ასული ყოფილა. ცამეტ წლამდე ვახტანგს შინ ასწავლიდნენ თურმე. ქართული ენა კარგად შეუსწავლია ოჯახში დედის მეოხებით. თეკლე ბატონიშვილი მომსწრე ყოფილა საქართველოს ჭირ-ვარამისა, თითქმის ყველაფერი ახსოვდა და რასაკვირველია ნორჩ შვილზე გავლენას იქონიებდა თავის ნაამბობითა და წარსულის დასურათებით. თეკლე ბატონიშვილს კარგად სცოდნია აგრეთვე ქართული მწერლობა და განსაკუთრებით სამღრთო წერილი. ალბად მასვე ჩაუნერგია პოეტის გულში სარწმუნოებრივი გრძნობა.

ცოტა რო წამოზრდილა ვახტანგი, დედას პაჟთა პეტერბურგის კორპუსში შეუყვანია და ამნაირად ისიც, დროის მიხედვით, სამხედრო სამსახურისათვის განუმზადებიათ. ვახტანგს პაჟთა კორპუსში ხუთ წელიწადს უსწავლია. შემდეგ კი პეტერბურგის ჰავა ვერ აუტანია, ავად გამხდარა და იძულებული ყოფილა მიეტოვებინა სწავლა კორპუსის დაუმთავრებლად. ახალგაზდა ვახტანგი კორპუსში ძალიან კარგად სწავლობდა თურმე და ამიტომ გამოსვლისას, თვრამეტის წლის ყმაწვილისათვის, პირველი სამოქალაქო ჩინი მიუციათ.

კორპუსში ყოფნის დროს, ვახტანგს, გარდა რუსულისა, კარგად შეუსწავლია ფრანგული ენაც. საზოგადოდ, ვახტანგი, მაშინდელ კვალობაზე განათლებული ადამიანი ყოფილა და თუმცა დროს ტარება ჰყვარებია, მაინც ბევრს კითხულობდა თურმე. წაკითხულ წიგნებში ევროპიელთა მწერლებიც რეულან. ერთ ლექსში („ძველს მეგობარს“) ვახტანგი მიჰმართავს დიმ. ყიფიანს:

„გეტე, შექსპირი, შილერი
კვლავ ერთად გადავიკითხოთო“.

1832 წელს ქართველმა ახალგაზდობამ შეთქმულების გამართვა სცადა. შეთქმულნი სერიოზად არ მოჰკიდებიან საქმესა. „შეთქმულნი“ უჯარო გენერლები იყვნენ. მათ სრულიად არ უცდიათ ხალხში ქადაგება, იდეის გავრცელება და ხალხთან კავშირის დაჭერა. ნიადაგი კი იყო საგიტაციო? გადაავლეთ თვალი ა. ფრონელის წიგნებს: „მთიულეთი 1804 წ.“ და „კახეთის აჯანყება“ და წარმოიდგინეთ, რანაირად შეიძლებოდა ქართველობა მთლად მიჩუმებულიყო, რანაირი კმაყოფილება უნდა ყოფილიყო ხალხში. უჯარო გენერლები იყვნენ მეთქი 1832 წლ. შეთქმულნი, ია ფალავანდიშვილსაც რო არ გაეცა, მაინც ვერაფერს გახდებოდნენ. ამ შეთქმულების გამო ბევრი ახალგაზდა გადაასახლეს. ვახტანგი და მისი ძმა ალექსანდრე მძიმე დამნაშავეთა რიცხვში მოჰყვნენ და ორნივე გადაასახლეს რუსეთს, ქალ. კალუგაში. ამ დროს ძალიანის მწუხარებით მოიგონებდა ხოლმე პოეტი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებშიაც.

მაგრამ გასულა დრო. 1837 წელს პოეტისათვის უპატიებიათ დანაშაული და 1838 წ. ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში პრაპორშჩიკად მიუღიათ, აქედან იწყება პოეტის წარმატება სამხედრო სამსახურში. ვახტანგი ამ სამსახურში ყოფილა 1881 წლამდე და შემდეგ გამოსულა. ამ დროის განმავლობაში ბევრს ომსა და ლაშქრობაში მონაწილეობდა. 1858 წელს ვახტანგისათვის პოლკოვნიკის ჩინი მიუციათ და ამავე წელს ყუბანის მაზრის მმართველობაც ჩაუბარებიათ. 1860 წლის 30 აგვისტოს ვახტანგ ორბელიანმა მიიღო გენერალ-მაიორობა და 1863 წელს თერგის მხრის უფროსად გამწესეს.

ბატონ-ყმობა რო გადაუგდიათ, ვახტანგი ჯერ თურმე გლეხთა საკრებულოს წევრად ყოფილა და შემდეგ მომრიგებელ შუამავლად. გარდაცვლილა 1890 წლის 29 ენკენისთვეს, სამოც და თვრამეტი წლისა.

ვახტანგ ორბელიანს ძლიერ დიდი ნიჭი არა ჰქონია. იგი ბევრად ჩამოუვარდება პოეტურის აღმაფრენით, მაგალითად, თანამოგვარეს გრიგ. ორბელიანსა. ბ-ნ აბაშიძის აზრით ვახტანგ ორბელიანი რომანტიზმის დაცემის პერიოდის, დეკადანსის გაგამომხატველია. მართლაც იგი ძველი თაობის წარმომადგენელია, მაგრამ ახალიც არ დარჩენია შეუმჩნეველი და ახალმაც დაასვა დაღი. ვახტანგი ახალ ცხოვრების შეფერებას სცდილობდა და ამიტომ თავისი პოეზიით გამოჰხატა გარდამავალი ხანი, შებრძოლება ძველისა და ახალისა. „მისი პოეზია არის გედის სიმღერა რომანტიულის პოეზიისა და მერცხლის ჭიკჭიკი ახალის რეალური პოეზიისა“.

ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში არეულია ორი ელემენტი: რეალიზმის და რომანტიზმისა. ბუნებით, აღზრდით, ტრადიციებით, პოეტი რომანტიკოსებს უფრო ეკუთვნის, ხოლო ეპოქინება ახალსაც, რეალიზმს; ამიტომ ვახტანგის ლექსებს პოეზიის ელფერი მაშინ სდევს, როდესაც პოეტი თავის გრძნობას, ძველსა და რომანტიულს გამოჰხატავს, ხოლო უსიცოცხლოა და უფერული ლექსები, რეალიზმის ნაკარნახევი. ამ ხასიათის ლექსებში დარიგება უფრო მეტია, ვიდრე პოეზიის ნიშანწყალი. ასეთია, მაგალითად: „კაცი ის არის“, „ქალი ის არის“ და ბევრი სხვა.

ძველნი ეტანებოდნენ სიყვარულის შესხმას და ამ გრძნობის გამოხატვას. გრიგ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე სულ ამას დასტრფოდნენ თითქმის, ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში ამ საგანს პატარა ადგილი აქვს დათმობილი და ამ ხასიათის ლექსები არც ეხერხება; ვახტანგს არც ძალი შესწევს ამ საქმისათვის. მხოლოდ ერთი ლექსია ყურადსაღები და სხვებში გამოსარჩევი: „ბულბული“. ეს ლექსი ალ. ჭავჭავაძისა და ბესიკის ლექსებს მოგაგონებთ. ფორმაც ცოტათი წააგავს:

გარნა ბულბული
ნაზად და წყნარად,
სტვენდა სიყვარულს
მარად და მარად.

საინტერესოა, როგორ უყურებს პოეტი თავის დანიშნულებასა და საზოგადოდ პოეზიისა. ამ საგანს ვახტანგ ორბელინი ეხება ლექსში: „პოეტს“. ორბელიანს კარგად და ნათლად აქვს წარმოდგენილი სიდიადე და მნიშვნელობა პოეზიისა, როგორც ცხოვრების ფაქტორისა. პოეზია გასართობი საგანი არა ყოფილა:

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისაო“

ამბობს მგოსანი. პოეტს უფრო ყურადსაღები საქმე აქვს, მაგისათვის არ უნდა მოსცდესო, უნდა დაგვიხატოს მშვენიერი, სათაყვანებელი ადამიანნიო და ეუბნება:

„შეგვიყვანე გლეხკაცის სახლშია,
იმათ ბაღში და იმათ ვენახშია,
დაგვანახვე, რას სწუხს, რით ხარობს
გლეხი;
ჩარჩებს დაეც რისხვა ღვთისა და მეხი“.

ამ ლექსს გულწრფელობა აკლია, ვახტანგს სრულიად არ შეეფერება. რომანტიკოსი, სენტიმენტალი ვახტანგ ორბელიანი, სრულიად არ ჰგვანებია თავის იდეალსა, არცა ცდილა დამსგავსებოდა, რადგანაც სად გენერალ-მაიორი და სად: „ჩარჩებს დაეც რისხვა ღვთისა და მეხი?“..

ვახტანგ ორბელიანი მორწმუნე ადამიანი ყოფილა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ: იგი დედამ ჩაუნერგა გულში. პოეტს ამ ქვეყანად ცხოვრება უმნიშვნელოდ მიაჩნია საიქიოსთან შედარებით; ერთი შემთხვევის გამო ამბობს:

ვგრძნობდი, ვხედავდი მხოლოდ ერთს,
ამ სოფელს ესალმებოდი,
იმ უკეთესსა სოფელსა
გაფრენას ემზადებოდი.

თვით პოეტსაც არ აშინებს სკვდილი და დამშვიდებულად ეგებება:

მიველ კარს დიდსა,
ველი ჩემს რიგსა
სოფლისგან გულით დაწყლულებულიო“,

ამბობს მგოსანი. სარწმუნოების გრძნობა აქვს გამოთქმული კიდევ „დიდმარხვის ლოცვაში“.

სადიდაქტიკო ლექსებში შესანიშნავი არის: „ისწავლეთ ძმნო“, თუმცა ჩამოუვარდება გურამიშვილის დარიგებას. პოეტური სურათიანობა და შედარებანი სუსტია.

საპოლიტიკო მიმართულება ვახტანგ ორბელიანისა ბუნდოვანია, მაგრამ მაინც შეიძლება ორი სიტყვის თქმა. ამ მხრივ საინტერესოა „დედოფალი“. მეფეს წინ დამდგარა მშვენიერი, ტურფა ასული; ჭაბუკი მეფე თვალებში ჩასცქერის და ელერსება, ელამუნება, სიყვარულს სთხოვს, ტრფიალებით დადაგულა. ჰპირდება მთლად ქვეყნის სიმდიდრეს, „ოღონდ გიყვარდე... შემიყვარე! ოღონდ ნუ მომკლავო“; მშვენიერი ასული დადუმებულა. მაგრამ ბოლოს დაილაპარაკებს. თუ ჩემი სიყვარული გსურს, ერისათვის უნდა იზრუნოო, ერზედ უნდა გადმოიღოდეს მაღლით მადლიო, უამისოდ ტახტი არაფრად მიღირს, ვერ დავაფასებო.

„ნუ ანდობ შენს ერს,
დიდო მეფევ, მძლავრთა მოხელეთ.
შენი სამეფო შენ და ერმა
ერთად განაგეთ.
შენთვის ნუ გინდა
ერის შრომა და მის სიმდიდრეო“,

ეუბნება მეფეს ტურფა ასული. საზოგადოდ, მეფეს კავშირი უნდა ჰქონდეს ერთანაო, მჭიდრო უნდა იყვეს ეს კავშირიო და მაშინ იქნება მხოლოდ ბედნიერი ორივე მხარეო. ამნაირად ვახტ. ორბელიანი მონარქისტი ყოფილა, მაგრამ ზემოხსენებული კავშირიც არ ავიწყდებოდა. საზოგადოდ, ვახტანგის ლექსებს კარგი ფორმა აქვს. განსაკუთრებით უხდება დარბაისლური კილო ლექსი-

ნარიის მეოთხე კლასის მოსწავლედ ნამყოფი თოფურიძე, რომელსაც ეკონომზე იარაღით თავდაცემა ბრალდება. წინასწარ გამოძიების დროს აღძრულ იქმნა საკითხი: სრულის მოფიქრებით მოქმედებდა თოფურიძე თავდაცემის დროს, თუ არაო. ოლქის სასამართლომ, სხვათა შორის, ეს საკითხიც უნდა გადასწყვიტოს. ბრალდებული თოფურიძე დანაშაულის ჩადენის დროს 17 წლისაც არ იყო.

სომეხთა ცხოვრება.

◆ განსვენებულმა **გ. სუნდუკიანმა** პიესა „პეპო“ უანდერძა კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას. ამის გამო ზემოხსენებული საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ პიესის დადგმის უფლება მისგან უნდა მიიღონ.

◆ **კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ** სომეხ მასწავლებელთა დამხმარე ფონდის სასარგებლოდ „ძმ. მირზოევების და ამხ“ საკომერციო საზოგადოებიდან მიიღო 500 მანეთი. ამავე საზოგადოებამ საურთიერთო დახმარების პირველ საზოგადოებიდან მიიღო 300 მანეთი.

◆ სრულიად სომეხთა **კათოლიკოსის გევორქ მეხუთეს მირონცხება** მოხდება მაისის 3-ს, ეჩმიაძინში, ამაღლების დღეს.

◆ ახლო მომავალში ცალკე წიგნად გამოვა მგოსან **გ. დოდოხიანის** („მერცხალო“ „წიწერნაკ“ ავტორის) დაუბეჭდავი ლექსები. ეს ლექსები ჯერ დაიბეჭდება სომხურ ჟურნალ „არორში“. გ. დოდოხიანი გარდაიცვალა 1908 წ. ივნისის 7-სა ქ. სიმფეროპოლში.

ქუთაისი

◆ ამ წლის დამდეგს გარდაიცვალა ზემო იმერეთის **ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი,** ნეტარ-ხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის მოძღვარი, ყველასაგან პატივცემული **არქიმანდრიტი გრიგოლი.** ჯრუჭის მონასტერში ინახება ძვირფასი ძველისძველი ხელთნაწერები, რომელთაგანაც ერთი წარმოადგენს პატარა სახარებას, ღორის ჯაგრით ტყავზე დიწერილს. ყოვლად სამღვდელო გიორგის, იმერეთის ეპისკოპოსს, სურდა ღირსეული პირი გაემწესებინა ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრად და კიდეც წარმოადგინა სინოდის კანტორაში ორი კანდიდატი— მ. მ. კაპანაძე და დეკანოსიძე, რომელთაც იგი პირადად კარგად იცნობს. სასინოდო კანტორას კი დაუდგენია, წარადგინოს სინოდში აღნიშნულ თანამდებობაზე დასამტკიცებლად მღვდელ-მონაზონი გაბრიელი.

სოფლად

◆ **ს. დიდი ლილო** (ტფილისის მაზრა). მარტის 5 იოსებ ცხოვრებაშვილი თავის კალოს ნაპირს ღობავდა. ამ დროს მიუხდნენ ორნი ძმანი, დათიკო და ნიკო გუჯაშვილები და დასჭრეს რკინის ორთითა და კეტით.

გორის ავ-კარგი

1 აპრილს აკურთხეს გორის საზოგადოების საურთიერთო ნდობის ბანკის ახალი სადგომი (სობოროს ქუჩაზე, მამინოვის სახლებში). პარაკლისს დაესწრნენ ბანკის საბჭოს, სარევიზიო კომისიის, გამგეობის წევრები, ბანკის ყველა მოსამსახურენი და ადგილობრივი ვაჭრები. პარაკლისის დაწყებამდე მღ. დ. **კავკასიძემ** მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომელშიც აღნიშნა საზოგადოდ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა და კერძოდ ბანკის მნიშვნელობა. მხოლოდ იმ ქვეყნებმა მიაღწიეს კეთილ-დღეობას, რომლებიც ეკონომიურად განვითარებულნი არიან და სადაც ვაჭრობა-მრეწველობა არის აყვავებულიო, სთქვა მან და მიუთითა დამსწრე საზოგადოებას ინგლისზე, გერმანიაზე, ამერიკაზე და სხვა დაწინაურებულ ქვეყნებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით მდიდარსა და ყველაფრით შემკულს ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაინც ღარიბ-ღატაკ ცხოვრებაში ვლევთ სიცოცხლის დღეებსო. ამისი მთავარი მიზეზი ჩვენი ეკონომიური დაქვეითებაა. ჩვენში მხოლოდ ეხლა იდგამს ფეხს ვაჭრობა-მრეწველობა, რის ნიშანი და მაჩვენებელია სხვათა შორის ამ ბანკის დაფუძნება დბ აღორძინებაო.

სიტყვა წარმოსთქვა აგრედვე სარევიზიო კომისიის წევრმა **ზ. ქიტიაშვილმა.** მან აღნიშნა ის ძველი ტრადიციული შეხედულების დარღვევა, რომელიც დღემდე გაბატონებული იყო საზოგადოებაში ვაჭრობაზე. დღემდე ვაჭრობა თითქმის სამარცხვინო საქმედ ითვლებოდაო,— სთქვა მან, დღეს კი ასეთი აზრი დაიმსხვრა, ასეთი ტრადიციული შეხედულება თან და თან იფხვრება საზოგადოებიდანო. დღევანდელი დღე საგულისხმო სოციალურ დღესასწაულად უნდა ჩაითვალოს. ამ ბანკის ახალ შენობაში თავი მოვიყარეთ ერთად ყველა მიმართულების, სოციალურ მდგომარეობის, ყველა წოდებისა და ეროვნების ხალხმა და ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს ამ საზოგადოებრივს საქმეში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გძელი, კარ-ჩაკეტილი, განკერძოებულ-განცალკევებული ცხოვრება ირღვევა და იწყება ახალი ხანა, ახალი ცხოვრება. დღითი-დღე ძლიერდება და ვითარდება ვაჭრობა-მრეწველობა, რომელიც ცხოვრების მთავარ ძარღვს შეადგენს. ეკონომიურად დაცემული, ღატაკი ქვეყანა ყველანაირად ჩამორჩენილი და დაქვეითებული ქვეყანაა. ეკონომიურად გაძლიერება, ეკონომიურად აყვავება კი თავდებია ქვეყნის ყოველ-მხრივის განვითარება—აყვავებისა. ამიტომაც ყველა ჩვენთაგანის ვალია დავამსხვრიოთ ძველი ტრადიციები, ძველი შეხედულებანი ვაჭრობა-მრეწველობაზე, რომლებიც ხელ-ფეხს გვიბორკავს და ხელი შეუწყოთ საზოგადოდ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას და კერძოდ ამ ბანკის მტკიცე ნიადაგზე დაყენებას, რომელიც ეხმარება და ანვითარებს ვაჭრობა-მრეწველობას. თვითონ საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობა გვიკარნახებს ამას და ჩვენც უნდა გავყვეთ მას; თვითონ საზოგადოებრივი ცხოვრება გვერეკება ამ გზაზე და ჩვენც უნდა გავსწიოთ აქეთკენ. სულ ოთხი წელიწადია, რაც ეს ბანკი დაარსდა და დღეს ისე გაიზარდა, გაიფურჩქნა და აყვავდა, რომ საჭირო შეიქმნა მისი უფრო ფართე, ახალს და ლამაზს შენობაში მოთავსება. ბანკის საქმის კარგ ნიადაგზე დასამყარებლად საჭიროა, რომ სათავეში ხალხის ნდობით და სიყვარულით აღჭურვილი პირები უდგნენ, რომლებსაც საზოგადო საქმის სიყვარული უნდა ამოძრავებდეთ ძ ამოქმედებდეთ და არა კერძო ინტერესები, შუღლი და მტრობა. საჭიროა სოლიდარობა, ერთობა და შეთანხმებით მოქმედება. ვუსურვებთ ამ საქმის სათავეში მდგომთ, რომ გაემართლებინოთ ნდობა და სოლიდარული მოქმედებით უფრო აეყვავებინოთ ეს სიმპატიური და ფრიად მნიშვნელოვანი დაწესებულებაო. ამით დაამთავრა თავისი სიტყვა ზ. ქიტიაშვილმა.

პარაკლისზე სასიამოვნოდ გალობდა ორ-კლასიან საქალებო სამრევლო სკოლის გუნდი ქ. ე. ელისაბედაშვილის ლოტბარობით.

ი. ირემაშვილი.

მოწერილი ამბები

ს. კარდანახი. 26 მარტს საღამოთი სოფლის ყარაულს გალმიდან მოჰყავდა მოწმედ დაბარებული ადგილობრივ გლეხის მოჯამაგირე. ვენახებში თავს დაესხნენ ხუთი ბოროტ-გამზრახველნი და ვერაგულად მოჰკლეს ყარაული, მხოლოდ მეორე მსუბუქად დასჭრეს მკლავში, წაიღეს თოფი და უგზო უკვლოდ მიიმალნენ.

ამავე საღამოს ს. ვაქირში მოჰკლეს ორი ადგილობრივი მცხოვრები. ჯერ ისევ ადრე ყოფილა, რომ მისულან ვაქირში ისაკო ნარეკლიევთან ფულისთვის, მაგრამ იგი დამალულა. და ავაზაკებს მისი მოჯამაგირეს ნარეკლიშვილი მოუკლავთ. როგორც გამოირკვა ვაქირიდან წამოსულან და გზაში შეხვედრიან კარდანახელ ყარაულს ნიკო კორკოტაშვილს და იქვე მოუკლავთ. მეორე დღესვე ჩამოვიდნენ სიღნაღიდან პოლიციელნი, თან ჩამოიყვანეს მაძებარი ძაღლები, მაგრამ მკვლელნი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

კარდანახელი.

სოფ. კნოლევი (გორის მაზრა). კვირაცხოვლობა დღეს, 1 აპრილს სოფელ კნოლევში გულ შემზარავი ამბავი მოხდა: ნასადილევს, როდესაც გლეხ მაისურაძეების ოჯახი სახლში თავმოყრილნი იყვნენ და მეტი ნაწილი მამაკაცებისა წასულწამოსულიყვნენ, სამი თავადი: სამსონ, საშა და შალვა ფალავანდიშვილები, შეიარაღებულნი რევოლვერებითდა ხანჯლებით, შეცვივდნენ ვასოსა და ზურაბ მაისურაძეების ბაკში-კალოზე, გამოირეკეს 18 სული საქონელი და წამოვიდნენ. როდესაც ზურაბმა და იოსებმა, წინააღმდეგობის გაწევა დააპირეს, ზემოხსენებულმა თავადებმა ძმები მძიმედ დასჭრეს, ჰრილობები მისცეს ხანჯლით თავში. ზურაბ მაისურაძე უფრო მძიმედაა დაჭრილი და მორჩენის იმედი არა აქვთ.

კნოლეველი ტოროლა.

პრემიერ-მინისტრი კოკოვცოვი მოსკოვში.

მოსკოვი. ბირჟის დარბაზში გაიმართა მოსკოვის საბირჟო საზოგადოების რწმუნებულთა კრება, რომელსაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტატს-სეკრეტარი კოკოვცოვი დაესწრო. საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ კრესტოვნიკოვმა კოკოვცოვს მისასალმებელი სიტყვა უთხრა. აღნიშნა საჭიროება რუსეთის მრეწველობის განვითარება-გაძლიერებისა და იმედი გამოსთქვა, თქვენც დაგვეხმარებითო.

კოკოვცოვმა კრესტოვნიკოვს უპასუხა. ა ნიშნა რუსეთის მტკიცე ქონებრივი მდგომარეობა და შეეხო აგრედვე სათათბიროსა. პირველსა და მეორე სათათბიროს არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ მთავრობას ებრძოდნენო. მესამე სათათბირომ კი ბევრი გააკეთაო. შეუძლებელია ეხლავე იმისი თქმა, თუ რანაირი იქნება მომავალი სათათბირო: მხოლოდ მესამე სათათბიროსა ჰქონდა მუშაობის უნარი და პირველობაც იმას ეთქმის. თუ სამრეწველო კანონპროექტები სათათბიროს ჯეროვნად არ დაუმუშავებია, ეს სათათბიროს ბრალი არ არის. შეუძლებელი იყო ყველაფრის მოკლე ხანში გაკეთებაო. მესამე სათათბირომ ხალხის თვალში გაამართლა არსებობა და შთამომავლობას ნიადაგი განუმზადაო.

ირლანდიის ავტონომია.

დეპეშები

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ირლანდიის ავტონომიის საკითხის გამო ატეხილ მსჯელობის დროს, ბალფურმა დაცინვით მოიხსენია საიმპერიო მთავრობის უპირატესობათა უზრუნველმყოფელი მხარე პროექტისა. მოლაპარაკის სიტყვით, პროექტი სრულიად არ შეეფარება ინგლისის პოლიტიკას.

ბალფურმა ბოლოს აღნიშნა: ყველა ქვეყნის კეთილდღეობა დანაწილებას კი არა, ერთობას შეუქმნიაო. ირლანდიის ავტონომიის მინიჭება ინგლისს ძლიერ ავნებს და დააუძლურებსო.

ფლოტის სტატს-სეკრეტარმა სამუელმა ავტონომიის ბილლის დასაცავად სიტყვა წარმოსთქვა. სამუელმა აღნიშნა: ყველა ერი თვითმმართველობისაკენ ისწრაფვისო და მაგალითად ელზას-ლორენის კონსტიტუცია დაასახელა. 150 წლის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ თუ ავტონომიას მოაკლებენ ერს, სეპარატიზმი დაიბუდებს. მთავრობას კანონ-პროექტი გონივრულად, სამართლიანად და განსახორციელებლად მიაჩნიაო (მინისტრები მოწონებას გამოსთქვამენ).

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

რომი. მითქმა-მოთქმა გამოიწვია საპოლიტიკო წრეებსა და პრესაში აქ გავრცელებულმა ხმამ. ამბობენ, დიდ შეიხს სენუზის თემების ბელადებისათვის რჩევა მიუცია ომს თავი დაანებეთო. ეს ამბავი მართალი უნდა იყვეს, ვინაიდან ეს ამბავი ბენგალიიდან და კაირიდან ერთსა და იმავე დროს მოსულა. „პოპოლო რომანო“ ამ ამბავს დიდს მნიშვნელობას აწერს და დასძენს: ოსმალეთის საქმე წასულია, თუ სენუზის თემებმა ომზე ხელი აიღესო. შეიხის სიტყვები ოსმალთა შორისაც გაუტეხენ სახელს ომსაო.

დერნა. უკანასკნელ ბრძოლაში ოსმალებს 5 ათასი კაცი მოუკლეს. ბომბისა და მირსასუს ახალ მცხოვრებ თემთა წარმომადგენლებმა ოსმალთა ბანაკი დასტოვეს და სამშობლოში დაბრუნდნენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ.-სააგენტოს)

4-აპრილი.

საზღვარგარეთი.

საფრანგეთის ურთიერთობა.

პარიზი. მინისტრ-პრეზიდენტმა პუანკარემ, როგორც მეზის დეპარტამენტის გენერალურ საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა წარმოსთქვა. პუანკარემ აღნიშნა საფრანგეთის მშვიდობის მოყვარეობა, რუსეთისა და საფრანგეთის კავშირის სიმტკიცე და ინგლისის მეგობრობა. შემდეგ დაუმატა: საფრანგეთისათვის ზღვაზე გაძლიერება და მშვიდობიანობაა საჭიროო.

ბრისონის ხსოვნის პატივსაცემად საზოგადო საბჭოთა უმრავლესობას სხდომა არა ჰქონია.

ჩინეთის სესხი.

პარიზი. „ტანი“ იუწყება, კონსორციუმი ფულს აღარ აძლევს ჩინეთის მთავრობას, ვინაიდან ჩინეთი ბელგიელებისაგან 25 მილიონის სესხად აღებას აპირებს თურმე. ბელგიელები სცდილობენ 50 მილიონის სესხი კიდევ მოაწყონ. რუსეთ-აზიის ბანკი ბელგიელებს ჩამოჰშორდა. საფრანგეთისა და ინგლისის ბანკირებს, რომელნიც ბელგიელებთან შეთანხმებით მოქმედებენ, თავისმა მთავრობებმა საქციელი არ მოუწონეს.

საფრანგეთს განზრახვა აქვს სესხის მიცემაში მონაწილეობა აღარ მიიღოს, თუ იგი კონსორციუმს გარეშე მოეწყობა.*)

სერბიის არჩევნები.

ბელგრადი. ამოირჩიეს: 80 ძველი რადიკალი, 7 რადიკალ-დისიდენტი, 37 ახალგაზდა რადიკალი, 21 ლიბერალი, 9 „ნაპრედნიაკი“, 2 სოციალისტი. 10 ხელმეორედ უნდა უყარონ კენჭი. გაბატონებულ პარტიას იმედი აქვს კიდევ 10 ადგილის შეძენისა. სულ ექნება 90 ადგილი. მთავრობისათვის ეს რიცხვი საკმაო. ყველაფერს 8 აპრილის ხელმეორედ კენჭის ყრა გამოარკვევს.

გემის დაღუპვა.

ლონდონი. სოუტგემპტონიდან ყველა გემის უდიდესი გემი „ტიტანიკა“ ოთხშაბათს გამოსულა, 1380 მგზავრით. შერბურგში სხვანიც მიჰმატებიან. „ტიტანიკი“ ჩაძირულა, 1500 კაცი დაღუპულა.

ამ საზარელ ამბის გამო ინგლისის საზოგადოებათა პალატაში ასკვიტმა სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვის დროს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და პალატის წევრებმაც, ჩვეულების წინააღმდეგ, ქუდები მოიხადეს.

ნიუ-იორკი. „ტიტანიკის“ მგზავრებში მხოლოდ 800 გადაურჩენიათ და გემ „კარპატიათი“ აქეთ მოდიან. 1550 კაცამდე დაღუპულა.

სა. ყველას ეცოდინება მისი: „არის ადგილი“ და „ობოლი“. ამას დაუმატეთ კარგი ქართულიც. მაშინ ჯერ კიდევ გაისმოდა ქართველთა წარჩინებულებისა და მაღალ წოდების ოჯახში ტკბილი ქართული და რასაკვირველია, ვახტანგსაც ესმოდა.

ჩვენ აქამდე განგებ არა გვითქვამსრა ვახტ. ორბელიანის პოეზიის ღედა ძარღვისა—სამშობლო ქვეყნის სიყვარულის თაობაზე. ყველას მოეხსენება ჩვენი ამბავი: მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საქართველოს ისტორიულ ცხოვრების ულელი შუა გადატყდა. დიდი ცვლილება მოხდა. ის დღეა და ეს ღამე, ქართველს ყოველთვის აოცნებებს „ვისიც არ ითქმის სახელი, რასაც დღე და ღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“.

ერის მდგომარეობას ჩვენი მწერალი თუ პოეტი, თავის დღეში ვერ აუხვევს გვერდსა. ჩაქუჩივითა სცემს ეს საკითხი თავში. სამშობლოს სიყვარული ერთნაირი კრიტერიუმიცაა, საზომი ქართველი პოეტისათვის. იმის მიხედვით შეიძლება აზრი შეადგინოს კაცმა პოეტის თაობაზე, აქოს ან აძაგოს. ან კი სხვანაირად როგორ შეიძლება? ჩვენში პოეტისათვის მარტოოდენ ნიჭი ჯერ არა კმარა, მარტოოდენ ნიჭით ჯერ დიდხანს ვერ დაფასდება. ჩვენი პოეტი—ერის წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი, მქადაგებელი და პუბლიცისტიცაა.

ვახტანგ ორბელიანი წარმომადგენელია ძველის თაობისა. მის პოეზიაში სამშობლო სიყვარულს პირველი ადგილი უჭირავს; და ეს სიყვარული განსაკუთრებულის ხასიათისაა. თუ ალ. ჭავჭავაძისა, გრიგ. ორბელიანისა ძ ბარათიშვილის პოეზიაში საკითხი ვერ არის კარგად გარკვეული, ბურუსს მოუცავს, ვახტ. ორბელიანისას ამას ვეღარ ვიტყვით. მან უფრო ნათლად შეიგნო ერის მდგომარეობა და რაც წინამორბედმა პოეტებმა ბუნდად გამოჰხატეს, ვახტანგმა ნათელჰყო, ერთად გამოკვანძა. ამ მხრით ვახტ. ორბელიანი ძველ თაობის ტიპიურ წარმომადგენლად ჩაითვლება. უპირველესად ყოვლისა, საჭიროა ორიოდე სიტყვა სთქვას კაცმა ვახტანგის წრის თაობაზე.

რუსეთის შემოსვლისთანავე ჩვენი მაღალი წოდება ახალ ცხოვრებას დაეწაფა. ახალი ცხოვრება კი პირველად ბალები, საღამოები და სხვა გასართობი ყოფილა. გასაოცარის სისწრაფით გაექანა ქართველი თავად-აზნაურობა გადაგვარების გზაზე და ერთგულადაც მოღვაწეობდა. ამის გამო ბევრი დაუწერიათ, ბევრი უთქვამთ, ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ. თავად-აზნაურობამ მთლად გასწყვიტა კავშირი ქართველ ერთან ფიზიკურად შინ და გარედ, ოჯახსა და საზოგადოებაში, რუსული შემოიღო. ახალ ძალას მონურის ღიმილით შესცქეროდა, ელაქუცებოდა. რომელისამე აზნაურისა და თავადის წარჩინება სამსახურში ქართველობის წარმატებად მიაჩნდათ და სხვა. აი, ამისთანა ატმოსფერაში იზრდებოდნენ ჩვენნი პოეტნი, რადგან თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა მათი უმრავლესობა. მისტიროდნენ საქართველოს წარსულ ცხოვრებასა, მოსთქვამდნენ აწმყოს, ლამაზ-ლამაზ ლექსებსა სწერდნენ, მაგრამ საქართველოსთან, ქართველ ერთან მტკიცე, ორგანიული კავშირი არ უგრძვნიათ და არც შეეძლოთ ეგრძნოთ, ისინი უცხოსავით შეჰყურებოდნენ, სჯიდნენ, გარდაიცვლება თუ გადარჩება ერიო, მაგრამ გულის სიღრმეში რო ჩაგეხედნათ, ურწმუნოებას აღმოაჩენდით. თავს ამხნევებდნენ, საქართველო კვლავ აყვავდებაო. ვისაცა სწამს, ჩიჩინი აღარა სჭირია. ვისაც ღრმად ჩაჰბეჭდია თავისი, სხვისას ვეღარ მოინდომებს. მაგრამ ძველი თაობანი სწორედ ამ თავისიანობის გრძნობას იყვნენ მოკლებულნი. ძველთა შეეძლოთ უეროდ ცხოვრება, ახლებს აღარ შეგვიძლიან. ძველად შესაძლებელი იყო რუსის გენერლობა და ქართველი პოეტობა, ეხლა თითქმის შეუძლებელია.

აი, მაგალითად თვით ვახტანგ ორბელიანი. 1832 წელს შეთქმულებაში მონაწილეობდა. მაგრამ როგორ ადვილად, როგორ მალე დაივიწყა ყველაფერი:

შენ ეგრე ფიქრობ და გგონია,
მაგრამ კი სცდები;
გადივლი მთებსა,
გაიმინდვრებ, დაგავიწყდებიო“.

შეეძლო ეთქვა საქართველოს ვახტანგისათვის მისივე სიტყვები. თუმცა სიტყვით არ დაუვიწყნია. მაგრამ სიტყვას და საქმეს ხომ „შუა უდევს დიდი მზღვარი.“ განა სიმშრალისა, არა გულწრფელობის ბრალი არ არის, რომ ხალხმა ვერ შეითვისა ერის მოზარეთა ჩივილი, ტირილი და მოთქმა? ვახტანგიც სტირის და მოსთქვამს. სანტიმენტალ და გულუბრყვილო სიყვარულს სამშობლოსას გამოჰხატავს „მთის ქალსა და მოგზაურში“. მაგრამ სევდა ჰღრღნის პოეტის გულსა და სულს, ეშინიან სამშობლოს დაღუპვისა. გარნა არ იცის, საიდან მოსულა იგი დაღუპვა. ვინაიდან მაშინ ხომ ვახტანგი გენერალ-მაიორი აღარ იქნებოდა? გულს იკეთებს გულუბრყვილო თქმითა, დამშვიდდება:

„მაგრამ დიდს წარსულს
მომავალიც დიდი ექნებაო“.

ვახტანგი ქართველობასთან ვერა გრძნობს ორგანიულ კავშირსა. ქართველი ერი რო მოსპობილიყო, ორბელიანები და სხვანი მაინც დარჩებოდნენ. უიმედობის შხამი ჩასწვეთებია მათ გულს და წარმოათქმევინებს მწარე სიტყვებს სამშობლოს მდგომარეობის გამო:

რაც რომ ყოფილა,
წარსულა და აღარ იქნება,
რაც ფიქრს აწუხებს,
გულს აკვნესებს და სულსა სტანჯავსო.

მწუხარება მარტოოდენ მშრალ სიტყვებად რჩებოდა, თავიდან იყო შობილი და თავს ვერ გასცილებოდა. სადაც სიტყვას საქმე მოსდევს, ძლიერებაც იქაა. აბა, ყური დაუგდეთ ჰერცენის უბრალო სიტყვებს: „ნება მოგვეცი შორს გარდახვეწილ შვილებს, შენს ძლიერ მოსიყვარულეთ, მოგვეცი საშუალება შენის დაცვისა, მოსარჩლეობისა და დაუფარავად სიყვარულისა... განბანე თავი შენი კატკოვისაგან, პირი მოიწმინდე—შენს ბაგეებს მურავიოვის საზიზღარიკოცნის დაღი ამჩნევიაო“. როგორ არა ჰგავს ამონაწერი ზოგიერთი ჩვენი პოეტის რიტორიკასა! აქ თვით პიროვნებაა ჩაქსოვილი და სიტყვას შესაფერი საქმეც უდგას ზურგს უკან.

პატივსაცემმა არჩ. ჯორჯაძემ უკვე აღნიშნა ძველი თაობის დუალიზმი. თავად-აზნაურობას იგი მემკვიდრეობად გადაუცია ახლანდელი ინტელიგენციის ერთი ნაწილისათვის. ქართველი ინტელიგენტი ყველაფერს ქართულს დასცინის, ჰგმობს, არ მოსწონს და დასცინის ისე, თითქოს მონაწილე არ იყოს დასაცინისა, გარეშე იდგეს. აბა, სად გინახავთ, ადამიანი იძახოდეს: შემომხედეთ, კარგად გამსინჯეთ, რა უხეირო ვარ, რა უშნოო. იგი უპირველესად ყოვლისა გამოსწორებას შეეცდება. ჩვენში კი სიტყვისა და საქმის შეთანხმებას თავის დღეში არა ჰფიქრობენ. საზოგადოდ, ქართველი ინტელიგენციის ნაწილის წარმომადგენლებში რამდენიმე მოწინააღმდეგე ადამიანი სცხოვრობს და ერთმანეთს სრულიად არ უშლის ხელსა. რასაკვირველია, დიდ ხანს ვერ გაგრძელდება ასე, ნიშნები უკვე სჩანს გამობრუნებისა, მაგრამ მაინც ფაქტია.

ასეთისავე ხასიათის არის ვახტანგ ორბელიანი. მისი „იმედი“ საუკეთესო ნაწარმოებია და მარტოოდენ ის რო დაეწერა, მაინც სახელი დარჩებოდა ლიტერატურაში. აბა, ყური დაუგდეთ, რას ამბობს პოეტი. სამშობლოს მდგომარეობას დაუღონებია და ჰგოდებს:

გონება ხელობს,
გაშმაგებულს აზრი მერევა.

როდესაც საქართველოს დაცემა და განადგურება მომაგონდებაო. ერთ ხანს მგოსანს ღმერთსაც კი დააგმობინებს სიმწარე. მაგრამ იქვე მოინანიებს ცოდვასა და ამბობს: „მაგრამ რას ვროტავო“.

გწამდესო ღვაწლნი
მამა-პაპათ არ განქრებიან,
გწამდეს ეს შთენნი
დიდებულად კვლავ აღსდგებიანო.

აი, ვახტანგის სარწმუნოების სიმბოლო და მასთან ერთად ძველი თაობისა. ამიტომ ისხდნენ გულხელდაკრეფილნი და არაფერს აკეთებდნენ, ამიტომ მოაგონდებოდათ მარტოოდენ წარსული, მაგრამ მისთვისაც არ უზრუნიათ: „შენ მომითხრობდე, მე ყრმა გისმენდე, გამოუცდელი მოხუცებულსა, თუ ვით ივერნი, ლომგულნი, გმირნი, ბრძოდნენ, ილვწოდნენ წარსულსა დროსა“ (გრ. ორბ.), ჰნატრობდნენ დაზღაპრად, ფანტაზიად მიაჩნდათ ჩვენი წარსული სახელი და დიდება, არა ჰქონიათ მტკიცე იმედი მომავლისა. მეოცე საუკუნეშიაც არიან ჩვენს საზოგადოებაში მათი თანამოძმენი, მაგრამ მობერებულან, ძალა აღარ შესწევთ. ეხლანდელი ახალგაზრდობა მტკიცე კავშირს ჰგრძნობს თავის ერთან და უმისოდ მისი არსებობა შეუძლებელია. ჩვენი ახალგაზდა პოეტნი ხალხის შვილნი არიან, მისი ძუძუ უწოვიათ. ახალგაზდათა ნიჭიერი წარმომადგენელი, ალ. შანშიაშვილი, აი, რას ეუბნება გამოთხოვებისას სამშობლოს:

„ვერც უთხრას ენამ:
„გტოვებ, მშვიდობით!“ მხოლოდ
„ნახვამდის“ ჩემო მამულოო“.

მან კარგად იცის, რა აკლია სამშობლოს და ამბობს:

ერო, სტიროდე შენს სამოთხეს
ადრე დაკარგულს!
ერო, სტიროდე ხეს ცნობისას
სხვაგან გადარგულსო.

მაგრამ ვაი და ვიში, ხომ ძველთაც სცოდნიათ. შანშიაშვილი ამას ვერ დასჯერდება. ვერ დასჯერდება ამას ეხლანდელი ქართველიც და ამიტომ პოეტი სხვა ლექსში ამბობს:

შძულხარ, ვიდრემდის
თვით სიძულვილს არ შეიყვარებ;
ვიდრე მონის სულს
არ ჩაჰკლავ და არ მოინანებ,
ვიდრე თვით შენში
სრულ სამოთხეს არ დაიმყარებ!
. . . .
განწმედის ნიშანს
ჰღაღადებდეს ცივი საფლავიო....

ასეთია ახალთა სიყვარული. ძველთა სიყვარული კი ვახტ. ორბელიანს გამოუხატავს. როგორც უკვე ვსთქვით. ორბელიანს მარტოოდენ სალიტერატურო მიმართულება არ დაუმთავრებია. იგი ტიპი იყო დუალიზმით გაჟღენთილ ქართველის დიდებულისა. ვახტ. ორბელიანი ძველი თაობის საფლავის ქვაა. ამ საფლავის ქვაზე ჩამოთვლილია ღვაწლი და ანდერძი თაობისა. ამ მხრივ ძლიერ საგულისხმოა და ღირსი ყურადღებისა. მაშ საისტორიო თვალით შევხედოთ, ბ-ნებო, საქმესა და აუსრულოთ თხოვნა საფლავის ქვას ქვეშ განსვენებულს: შენდობა უთხრათ, ღვაწლი გავიხსენოთ...

რაჭველი.

---

*) (კონსორციუმი არის ფინანსიური შეთანხმება რამდენიმე პირთა ან სახელმწიფოთა, რაიმე საქმის საზიაროდ გასაკეთებლად).

კუენქედერვარის გადადგომა.

ვენა. ბუდაპეშტიდან ამბავი მოვიდა, ჰუნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტი კუენქედერვარი 4 აპრილს სამსახურიდან გადადგომის თხოვნას შეიტანსო. ყველა ამბობს, მის მაგივრად ფინანსთა მინისტრს ლუკაჩს გაამწესებენო. კუენქედერვარის გადადგომა გამოუწვევია ჰუნგრეთის პალატაში საქმის დაბრკოლებას და აგრეთვე მომავალ დელეგაციების მიერ საქმის გართულების შიშს.

აგენტის დაპატიმრება.

იანძიფუ. რუსეთის გეზანში საკონსულოს აგენტი იანძიფუს რო ბრუნდებოდა, 27 მარტს ქოლუნსიანის მაზრის მმართველმა დააპატიმრა. იანძინფუს ვიცე-კონსულის პროტესტის გამო იგი ჩქარა გაანთავისუფლეს და დიდი ბოდიშიც მოიხადეს. სხვა ადგილებში აგენტს მეგობრულად ექცევიან.

სემინარიის გახსნა.

რუსეთი

ლვოვი. ამას წინად უკრაინელ და რუს მოწაფეთა გადაკიდების გამო დაკეტილი სასულიერო სემინარია ისევ გახსნეს. პარველ და მეორე კურსის მოწაფენი უკანვე მიიღეს. დანარჩენებს ამ დღეებში მიიღებენ.

კიევი. იუშჩინსკის მოკვლის საქმეს საჯაროდ გაარჩევენ 17 მაისსა.

ქალისა და ოთხი ბავშვის მოკვლა.

კოსტრომა. სოფ. იადრინოს მცხოვრებს, გლეხის ქალს ციმბირის მაღაროებში მომუშავე ქმრისაგან ცოტაოდენი ფული მოსვლოდა. მის გასაძარცვავად შევარდნილა სახლში რამდენიმე სოფლელი, მოუკლავთ ქალი და მისი ოთხი ბავშვი. მკვლელნი შეიპყრეს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა. დღეს, 5 აპრილს, ქართულ თეატრში ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება **„პირველი ბუზი“** კომ. 3 მოქედ. ვასილ ველიჩიკოსი, გუნიას მიერ გადმოკეთებული და მხიარული ვოდევილი **„უბედური დებიუტი“** ახოსპირელისა, რომელშიაც თამაშობს **ტასო აბაშიძე** ლიდიას როლს.

სახალხო სახლში დღეს გ. ნ. სუნდუკიანცის ხსოვნის პატივსაცემად წარმოდგენილ იქნება „პეპო“ და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“. პეპოს როლს ვიქტორ გამყრელიძე შეასრულებს.

ნაძალადევის თეატრი. დღეს, 5 აპრილს, ნაძალადევის თეატრში, წარმოადგენენ **ივ. მჭედლიშვილის** ახალ პიესას “**ყაჩაღი ქიარიმა**“ ტრაგედია 4 მოქ. აპოთეოზით. ქიარიმას როლს შეასრულებს **ს. სვიმონიძე**.

ბაქო. მწყობრი თამაშობა და კმაყოფილი საზოგადოება,—ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პირველ აპრილს გამართულმა წარმოდგენამ. დადგეს ამ დღეს „პატარა კახი“. კმაყოფილი დარჩა თვით ავტორიც, მხცოვანი პოეტი აკაკი, რომელმაც სააღდგომო დღესასწაულები აქ, ბაქოში, გაატარა.

ქართველ არტისტებისთვის არაფერი ისე ძნელი არ არის, როგორც ლექსად დაწერილ პიესის წარმოდგენა, და არა მარტო იმიტომ, რომ ლექსს კარგი დასწავლა უნდა, არამედ იმიტომაც, რომ ლექს უფრო უკეთესი წაკითხვა უნდა. პირადად მე არ მეგულება არც ერთი ქართველი მსახიობი და არც სხვა ვინმე, რომელიც ცოტად მაინც არის რიგიანად კითხულობდეს ქართულ ლექს. ჩემის აზრით, ამ მხრივ ქართულ ლექსს დღემდე ალღო ვერ აუღეს და საიდუმლოება ვერ გაუგეს. ამით აიხსნება უმთავრესად ის გარემოება, რომ კარგი ქართული ლექსი წაკითხვის დროს ძალიან ბევრ სიმშვენიერეს ჰკარგავს. უმთავრესი ღირსება აკაკის ხსენებულ დრამატიულ პოემისა არის არა დრამატიზმის განვითარება და პსიხოლოგია მომქმედ პირებისა, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჰაეროვანება და სურათოვნება ლექსისა. ამ მხრივ ხსენებული პოემა ნამდვილი სიმფონიაა, ყურისა და სულის დამატკბობელი. ამიტომ პოემის წარმოდგენის დროს საჭირო საუცხოვოდ წარმოთქმა ლექსისა. ბაქოელი სცენის-მოყვარენი ამ მხრივ კოჭლობდნენ, მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს საერთო ნაკლია ქართველ მსახიობებისა, და აქაურებს ვერ მოვთხოვთ იმას, რაც არ არის დიდ სცენაზედაც-კი.

სხვაფრივ პირველი აპრილის წარმოდგენა თითქმის უნაკლულო იყო, თუ, რასაკვირველია, არად ჩავთვლით იმ დეფექტებს, რომელიც შედეგად მოსდევს სცენის სიპატარავეს, უდეკორაციობას, გარდერობის სიცარიელეს და, საზოგადოდ, სცენის სიღატაკეს და მოწყობილობას.

წინა რეცენზიებში ვწერდით, რომ ბაქოელი სცენის-მოყვარენი ძნელ პიესასაც ადვილად დასძლევენ, თუ საქმეს გულით მოეკიდებიან და რიგიან ხელმძღვანელს იშოვნიანო. ხელმძღვანელი უკვე ჰყავთ—ეს არის ტფილისიდან მოწვეული მსახიობი ბ-ნი გვარაძე. პირველ აპრილის წარმოდგენამ ჩვენი მოლოდინი სავსებით გაამართლა: ხელმძღვანელის წყალობით და სცენის-მოყვარეთა მეცადინეობით წარმოდგენა ჩინებული გამოდგა. ანსამბლის მხრივ შედარება არც-კი შეიძლება წინანდელ და პირველ აპრილის წარმოდგენებისა. ანსაბლის გარდა, რეჟისორის ხელი აშკარად დაეტყო აგრეთვე სცენის-მოყვარეთა გრიმებს და ჩაცმულობასაც. როლიც ყველამ კარგად იცოდა. უფრო მწყობრი გამოდგა მესამე და მეხუთე მოქმედება, უფრო სუსტი—მეოთხე მოქმედება. შედარებით წარმოდგენაც ადრე გათავდა—სწორედ თორმეტ საათზე ხალხი უკვე იშლებოდა.

პატარა კახის როლს ბ-ნი გვარაძე ასრულებდა. აშკარად ეტყობოდა, რომ გვარაძეს გარდა, ზოგიერთ სცენის-მოყვარესაც არ დაეზოგა შრომა და მეცადინეობა. ბევრნი წვრილმანებსაც-კი ჩაჰკვირვებოდნენ. კარგის თამაშობით ყურადღება მიიქციეს: ქ-ნ ასათიანის ასულმა (ტურფა) და ლიახვისპირელმა (დედოფალი); ბ-ნთ: ახობაძემ (გელა), მატარაძემ (ქვაბულაძე), ლეჟავამ (გივი ჩოლაყაშვილი). ნამდვილი არტისტი იყო ბ-ნი გ. პავლიაშვილი ბაადურის პატარა, მაგრამ ტიპიურ როლში. სხვა მოთამაშეებზედაც არ გვეთქმის ძვირი სიტყვა.

რამდენადაც პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სცენის-მოყვარეებმა იმდენად უფხობა გამოიჩინეს წეს-რიგის მეთაურებმა. მთელი პირველ მოქმედების დროს დარბაზში აურ-ზაური იდგა და არ შეწყვეტილა ყვირილი: „დასხედით“ და „ჩუმად“-ო. მართალია, დარბაზი გაჭედილი იყო და ბევრი მსურველი უადგილობის გამო უკანაც დაბრუნდა, მაგრამ მეთაურებს მაინც შეეძლოთ ფარდის ახდამდე წეს-რიგის დამყარება. იმედია, შემდეგში მაინც მიაქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას.

წარმოდგენის შემდეგ, საზოგადოების თხოვნით, აკაკიმ ორი ლექსი წაიკითხა. აკაკის დარბაზში შემოსვლას დამსწრენი ფეხზე ადგომით და ტაშის ცემით მიეგებნენ, ლექსების წაკითხვის შემდეგ ხომ მთელი ოვაცია გაუმართეს. სცენიდან ჩამოსვლისათანავე დასტაცეს ხელი და ისე გაიყვანეს გარედ.

შემდეგ წარმოდგენას წ.-კ. საზოგადოების აქაურ განყოფილების დრამატიული სექცია მართავს ახლად გარდაცვლილ გაბრიელ სუნდუკიანცის ხსოვნის პატივსაცემად, წარმოდგენილი იქნება განსვენებულის პიესა „პეპო“. საზოგადოდ, სექცია და მისი დასი დიდ შრომასა და მეცადინეობაშია. სხვათა შორის ემზადებიან გედევანიშვილის ცნობილ პიესის „მსხვერპლის“ წარმოსადგენადაც.

სოხუმი. 1 აპრილს ქუთაისის მსახიობთა ამხანაგობამ გამართა პირველი წარმოდგენა. წარმოადგინეს ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ პიესამ კარგად ჩაიარა.

შესანიშნავი იყო საბას როლში ბ. **ი. ზარდალიშვილი**. მან უნაკლოდ დაგვიხატა ადამიანი, რომელიც მახინჯია არა მარტო გარეგნობით, არამედ ყოველი მხრივ: სულით, გრძნობით, ზნეობითა და გონებით. ადამიანი, რომელიც არა ზოგავს ადამიანთა სიცოცხლესა და ბედნიერებას, თავისი ქვენა გრძნობათა და მხეცური ჟინის დასაკმაყოფილებლად; თავისი „მე და მხოლოდ მე“-ს საკეთილდღეოდ. ბ. ზარდალაშვილის თამაში სავსე იყო გრძნობითა და დაკვირვებით. იშვიათის ხელოვნებითა და გრძნობით ასრულებდა სონას როლს **ქ. პ. შოთაძე**. მისმა გონიერმა თამაშმა სრულიად მოხიბლა საზოგადოება. ქ. შოთაძემ უნაკლულოდ დაგვიხატა შიუკაშვილის საბრალო სონა. განსაკუთრებით კარგი იყო მეორე და მეოთხე მოქმედებაში.

ძლიერ დაკვირვებით ასრულებდა დარეჯანის როლს ქ. **ლ. ლოლობერიძე**. ზედ-მეტი არ იქნება ვთქვათ, რომ მისი დარეჯანი ყოველ-მხრივ უნაკლულო იყო.

კარგი იყო **ბ. პ. კორიშელი** გიმნაზიელის როლში. კარგი იყო **ბ. ი. ბარველი**. კარგი იყო აგრეთვე ბ. ა. **ყალაბეგიშვილი** ილიკოს როლში. დანარჩენნი ხელს უწყობდნენ ამ მოთამაშეს.

ისარი.

ჭიათურა. 29 მარტს წარმოადგინეს „კოცნა პირველი და უკანასკნელი“ თარგმანი ი. ტარუაშვილისა და „ბაიყუში“. წარმოდგენის დაწყებამდე ალ. წერეთელმა წაიკითხა ლექსია: „ახალგაზდა პოეტი ნოე ჩხიკვაძე“.

საანგარიშო წელს გამგეობის სრული შემოსავალი უდრის 5590 მ. 51 კ. აქედან საწევრო ფული—177 მ., შავი-ქვის მრეწველთა დახმარება 1750 მ. სხვა და სხვა პირთაგან შეწირული 51 მ. 64 კ. წარმოდგენებიდან 2681 მ. 25 კ. სალიტერატურო და საცეკვაო საღამოს გამართვით—375 მ. 62 კ. თეატრის გაქირავებისაგან—635 მან, საანგარიშო წელს გამგეობას ხარჯი ჰქონი 6212 მ. 69 კ. უზარალნია 622 მ. 18 კ.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ქ. ოზურგეთში 31 მარტს ქრისტინეს გასამართლებაში მონაწილეობისათვის ბ. ბ. ექიმ ი. აბაკელიას, ქალაქის მოურავს პლ. ალმ. ბერიძეს, ნაფიც ვექილის თანაშემწე ბეჟ. ვ. ხუნდაძეს, ნაფიც ვექ. თანაშემწე ანდრ. გ. ბებურიშვილის. ქ-ნ ლიუბა ურუშაძის ასულს და აპ. წულაძეს, ხოლო დახმარებისათვის: ქ-ნ პელაგია კიკვაძისას, ელენა სალუქვაძის ასულს ბ. ბ. თედორე კიკვაძეს, ნოე აბაშმაძეს და სხვებს, ვინც კი რითიმე დაგვეხმარა.

გამგე: **ვ. ხუნდაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 1[illegible] ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვევს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუაღღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

განცხადებანი

ქირავდება მარჯვე ადგილას მდებარე (დახურულ ბაზრისა და თათრის მოედნის მახლობლად) **დიდი მაღაზია, ასვალტით დაფენილ სარდაფით** ხელახლად საუცხოვოდ გადაკეთებულ სახლში, პატარა სირაჩხანის ქუჩაზე № 14 მეხუთე საპოლ. უბანში. **იქვე ქირავდება** მშვენიერი ბინა. ეს ბინა გამოსადეგია სარესტორანოდ, ყავახანად, აგრეთვე საქონლის საწყობადაც გამოდგება. იგივე სახლი იძლევა იჯარით იაფფასად. ფასის გაგება შეიძლება სახლის პატრონთან, თეატრის ქუჩა, № 16, სახაზინო თეატრის მახლობლად. (1—347—1)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**
(წ. 1074.49)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდუბე—მთავრის ქ. № 67, სახლი სვანიშვილისა.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანჯარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთილებსაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.
(25—285—21)

დამყნილი ამერიკული ვაზის სანერგე—სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
„ბიორგბის შრომა“
სანერგეს აქვს დამზადებული დიძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სალობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.
დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.**
(თ.—1145—20

ყოველ-დღე
მოგვდის:
ახალ-ახალი [illegible] 2 მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილა, 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შაჰაია და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—30)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

იმერული შამპანიური
ღვინოები,
ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში.
„კოლხიდა“ და „თამარა“
მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.
ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.—[illegible]6.7)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება ქართველი მწერლების მოთხრობანი:

არაგვისპირელი I	50 კ.
„ II	40 „
„ III	40 „
„ შიო თავაფი	60 „
არდაზიანი. მეჯლანუაშვილი.	50 „
გაბაშვილისა ეკ.	1—20 „
დუტუ მეგრელი II	70 „
ერისთავი დ. ვისი ბრალია?	20 „
ია ეკალაძე. მოთხრობები.	1
კლდიაშვილი დ. I	75 „
„ II	75 „
ლარიძე. დილარიანი.	2—
მალაქიაშვილი. შოთა ბროლიძე.	80 „
მგალობლიშვილი. მეველე, თ-დი იერონიმე, მთიული სოსე.	30 „
მაჩხანელი. სოფლის კუნწულა	20 „
ნინოშვილი ე.	1—50
ფურცელაძე ა. ქიტესა	15 „
„ მაცი ხვიტია	50 „
„ ასული ისრაელისა	30 „
„ ჩვენებური საქმის ბოლო.	20 „
„ ბრძოლა... ანუ გ. სააკაძე და მისი დრო.	1—
ფრონელი ა. მთიულეთი.	40 „
„ კახეთის ამბოხება.	60 „
ყაზბეგი. სრული თხზულებ.	3—50 „
ყიფიანი ს. წვრილი მოთხრ.	50 „
შიუკაშვილი. განგება ღვთისა	15 „
ჩარხიშვილი. ცხოვრებ. ძ სიყვ.	40 „
„ ვარინკას ამბავი	15 „
ცაგარელი. გიორგი, მიხეილ!	10 „
წერეთელი გ. I	60 „
„ II	60 „
„ III	70 „
წერეთელი აკაკი. ჩემი თავგადას.	1 მ.
ჭავჭ. ი. გლახის ნაამბობი, კაცია ადამიანი?! ოთარაანთ ქვრივი, სახრჩობელაზე, მგზავრის წერილები, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, უცნაურ. ამბ.	77 „
ხუსკივ. თ. თხზულებანი	30 „
„ ეკატ. ბატონიშვილი	5 „
„ ლევან ბატონიშვილი.	10 „
ხევისუბნელი. ცხენის წურბელა	15 „

შე უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—19)

საქციონერო საზოგადოება
„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბარატორია.“
იზმაილოვის პროსპექტი, № 27.
პარიზი 1900 წ. ოქროს მედლები **მაკარია 1896 წ.**
გლიცერინი ველური
საშუალება, რომელიც კანს ინახავს ჭორფლისა, ფერიმჭამლისა, სახის სიჭარხლისა, ქარის დაკვრისა და სიცივის გავლენისაგან.

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორიის“ საზოგადოება თხოულობს, **რადგან ყალბი ნაწარმოებიც ჩნდება,** მიაქციონ ყურადღება ფირმის სახელწოდებას, რომელიც სამი სიტყვისაგან შესდგება:
„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“,
და ნიშანს საზოგადოებისას. რომელზედაც გამოხატულია ძეგლი **„იმპერატორ პეტრე დიდისა“**, ს.-პეტერბურგში, სენატის მოედანზე დადგმული.

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (13—1296—11)

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია (ქუთაისში) შეუდგა **კიტა აბაშიძის** თხზულების **„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ მეორე ტომის** ბეჭდვას. ამ ტომში მოთავსებული იქნება აკ. წერეთლის, გ. წერეთლის, ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასი, დ. კლდიაშვილის, ე. ნინოშვილის და სხვა თხზულებათა კრიტიკული გარჩევა. წიგნი სივრცით 300 გვერდამდი იქნება. წინასწარი ხელმოწერით ღირს **ორ აბაზად**. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

მეორე ტომზე ხელის მომწერს პირველი ტომი ათ შაურათ დაეთმობა.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში: მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და „იმერეთის“ კანტორაში.
ტფილისში: წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში და ი. მერკვილაძესთან.
ბაქოში: ვას. ახვლედიანთან და ვას. ქიქოძესთან.
ბათუმში: ირ. ავალიშვილთან.
გორში: არჩვაძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ივ. ყანჩელთან.
სოხუმში: ნ. ჯანაშიასთან.
კავკავში: ვ. ბურჯანაძესთან.
ხონში: წ. კ. განყ. წიგ. მაღაზიაში და ეკ. ბახტაძის მეუღლესთან.
ოზურგეთში: „შრომის“ წიგნის მაღაზიაში.
სამტრედიაში: წ. კ. განყოფ. წიგნის მაღაზიაში.
ზესტაფონში: წ. კ. განყოფ. წიგნის მაღაზიაში.
ჯიხაიშში: ექ. ლოსაბერიძესთან.
ჭიათურაში: ივ. გომელაურთან და ირ. დეკანოზიშვილთან.
ძვ. სენაკში: დ. ოყრეშიძესთან.
ახ. სენაკში: დგებუაძის წიგნის მაღაზიაში. (5—1184—3)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.